ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4023787

ნომერი: AR1607092

თარიღი : 11.06.2018

გაცემის თარიღი : 19.06.2018

გაცნობის თარიღი : 19.06.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ქვემო ლისი;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გაგა წიკლაური პ/ნ 01024030037
- ალ.ყაზბეგის 25ა

ორგანიზაცია:
- შპს ნ.ს კოდი: 211322317

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 11 ივნისის AR1607092 განცხადებით მომართა მოქ. გაგა წიკლაურმა და მოითხოვა ს/კ 72.16.18.978 მიწის ნაკვეთზე I კლაისს ღობის მოწყობასთან დაკავშირებით წერილობითი დასტურის გაცემა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე (დანართი №4) კომპლექსური კვლევისა და მის საფუძველზე „ჩარჩო გეგმის" შემუშავებამდე 6 თვის ვადით შეიზღუდა მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობე¬ბის დამტკიცება, არქიტექ¬ტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა).

აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება, ასევე, იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა მიმართაც ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია დაინტერესებული პირების განცხადებები, თუმცა, ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება წინამდებარე ნორმის ამოქმედების დროისათვის მიღებული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის არეალში, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა I კლასის ღობის მოწყობასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.